ეთნიკური უმცირესობების მიერ აღქმული გამოწვევები ზრუნვის სააგენტოში სოციალური მომსახურებების მიღებისას (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ანი ფაშაიან

ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციალური მუშაობა

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ფაშაიან

10.06.2026.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მაგალითზე გაანალიზოს, თუ რა გამოწვევები აქვთ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის კერძოდ ახალქალაქის რაიონული წარმომადგენლობაში ეთნიკურ უმცირესობებს და რა სირთულეებს აწყდებიან მომსახურების მიღებისას. ნაშრომის კიდევ ერთი მიზანია იმის დადგენა თუ რამდენად ინფორმირებულნი არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ზრუნვისა და ტრაფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შესახებ. ამასთან, ნაშრომში გამოკვლეულია, ასევე სოციალური მუშაკის როლი ეთნიკური უმცირესობების მიმართ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა რაოდენორივი და თვისებრივი კვლევა. კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის ანკეტირების მეთოდი მომსახურების მიმღებ ბენეფიციარებთან და ახალქალაქის რაიონის ზოგად მოსახლეობასთან. თვისებრივი კვლევა კი ჩატარდა ახალქალაქის რაიონულ წარმომადგენლობაში მომუშავე სოციალურ მუშაკთან, რომელიც ძირითადად ეთნიკურ უმცირესობებთან, ამ შემთხვევაში სომხებთან მუშაობს. კვლევის შედეგად დადგინდა ის ძირითადი გამოწვევები, რასაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან, როგორიცა სახელმწიფო ენის არცოდნა, დაბალი დონის ინფორმირებულობა არსებული სერვისების შესახებ, რეგიონში შესაბამისი სერვისების ნაკლებობა და სხვა. ასევე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზრუნვის სააგენტოს ახალქალაქის რაიონული წარმომადგენლობის სოციალური მუშაკი უმნიშვნელოვანეს და უზარმაზარ როლს ასრულებს არსებული მომსახურებების უკეთ გაგებაში და გამოყენებაში. ასევე დადგინდა, რომ სოციალური მუშაკი თავისი ვალდებულებების გარდა, კეთილი ნებით სხვა მომსახურებებსაც მიაწოდებს, როგორიცაა: თარჯიმნის მომსახურება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, სომხები, ახალქალქის მუნიციპალიტეტი, სოციალური მომსახურებები, სოციალური მუშაობა, ენობრივი ბარიერი,ინფორმირებულობა.

Abstract

The primary objective of this master's thesis is to analyze, using the example of Akhalkalaki Municipality, the challenges faced by ethnic minorities in accessing social services provided by the Samtskhe–Javakheti regional office, specifically the Akhalkalaki district representation, of the State Care and Assistance Agency for the Victims of Human Trafficking. The study focuses on the barriers ethnic minorities encounter in the process of receiving social services. In addition, the thesis aims to assess the level of awareness among ethnic minority representatives regarding the functions and services of the State Care and Assistance Agency for the Victims of Human Trafficking. Furthermore, the research examines the role of the social worker in supporting ethnic minority populations. To achieve these objectives, both quantitative and qualitative research methods were employed. The quantitative component of the study was conducted through questionnaire-based surveys administered to service beneficiaries as well as members of the general population of Akhalkalaki Municipality. The qualitative component involved an in-depth interview with a social worker employed at the Akhalkalaki district representation office, who primarily works with ethnic minorities, particularly the Armenian community.

The findings of the study identified several key challenges faced by ethnic minorities, including insufficient proficiency in the state language, limited awareness of available services, inadequate access to relevant services within the region, and other related barriers. The research further revealed that the social worker at the Akhalkalaki district representation office plays a vital and highly significant role in facilitating beneficiaries' understanding and utilization of existing services. Moreover, it was found that, beyond formal professional responsibilities, the social worker voluntarily provides additional forms of assistance, including interpretation services.

Keywords: ethnic minorities, Armenians, Akhalkalaki Municipality, social services, social work, language barrier, awareness.

მადლობა

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს სასწავლო პროცესში და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარების, მხარდამჭერისა და პროფესიული რჩევებისთვის.